

ბსუ-ს სტუდენტთა გზამკვლევი

XVIII თავი

ბსუ-ს სტუდენტური თვითმმართველობა

(განახლებული რედაქცია - სექტემბერი, 2023 წ)

ბსუ-ს სტუდენტური თვითმმართველობის საქმიანობა რეგულირდება **სტუდენტური თვითმმართველობის დებულებით** (წინამდებარე გზამკვლევის დანართი N15) და **ბსუ-ს სტუდენტური თვითმმართველობის საარჩევნო დებულებით** (წინამდებარე გზამკვლევის დანართი N16). თვითმმართველობას ბსუ-ს ვებგვერდზე აქვს შესაბამისი ველი.

უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობა წარმოადგენს უნივერსიტეტის სტუდენტთა უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოს - ფაკულტეტებიდან არჩეული სტუდენტური თვითმმართველობის ერთიანობას, რომელიც საქმიანობას წარმართავს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, ბსუ-ს წესდებისა და ზემოაღნიშნული დებულებების მიხედვით.

ფაკულტეტის საბჭო შედგება ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის ყველა წევრისაგან და ფაკულტეტის სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენლებისაგან, რომელთა რაოდენობა არ შეიძლება იყოს საბჭოს შემადგენლობის $\frac{1}{4}$ -ზე ნაკლები.

სტუდენტური თვითმმართველობის წევრთა უფლებამოსილების ვადა განისაზღვრება 2 (ორი) წლით.

ბსუ-ს ფაკულტეტებზე ასარჩევი ფაკულტეტის სტუდენტთა თვითმმართველობის წევრების რაოდენობა არ უნდა იყოს ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის $\frac{1}{3}$ -ზე ნაკლები. ზუსტ რაოდენობას, არჩევნებამდე არანაკლებ ერთი თვით ადრე განსაზღვრავს თვითმმართველობის პრეზიდენტი.

ფაკულტეტის სტუდენტთა თვითმმართველობის და ფაკულტეტის საბჭოს წევრი ხდება არჩევნებში მონაწილე საუკეთესო შედეგის მქონე კანდიდატი. არჩევნებში მონაწილე კანდიდატები თუკი მოიპოვებენ თანაბარი რაოდენობის ხმებს, ყველა მათგანი გახდება ფაკულტეტის სტუდენტთა თვითმმართველობის წევრი.

სტუდენტს ავტომატურად უწყდება თვითმმართველობის წევრის სტატუსი:

- ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შემდეგ (საგანმანათლებლო პროგრამის ვადის ამოწურვა, პირადი განცხადება და სხვა);
- 6 თვეზე მეტი ვადით შესაბამისი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტის სტატუსის შეჩერებისას ან გაცვლითი პროგრამის ფარგლებში უცხო ქვეყანაში სასწავლებლად წასვლა;
- ბსუ-ს ერთი ფაკულტეტიდან სხვა ფაკულტეტზე გადასვლის (მობილობის) შემთხვევაში.

თვითმმართველობის არჩევნები ცხადდება თვითმმართველობის პრეზიდენტის განკარგულებით, თვითმმართველობის უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე არაუგვიანეს 1 (ერთი) თვისა, ასევე შესაბამისი ფაკულტეტის ადმინისტრაციის კანონიერი მოთხოვნის საფუძველზე, ამ ფაკულტეტის სტუდენტური თვითმმართველობის წევრთა კანონით დადგენილი რაოდენობის შევსების საჭიროების შემთხვევაში, ასეთი მოთხოვნიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) თვისა.

ფაკულტეტის თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვს აკადემიური უმაღლესი განათლების სამივე საფეხურის სტუდენტებს (ამომრჩეველი), გარდა სტატუსშეჩერებული პირისა. **არჩევნებში კანდიდატად შეიძლება დარეგისტრირდეს აქტიური სტატუსის მქონე ბსუ-ს ბაკალავრიატის პირველი, მე-2, მე-3, მე-4, მე-5, მე-6 და მე-7 სემესტრის სტუდენტი ან მაგისტრატურის პირველი, მე-2 სემესტრის ან მე-3 სემესტრის სტუდენტი.**

ბსუ-ს სტუდენტური თვითმმართველობის შესახებ სრულად იხილეთ ბსუ-ს ვებგვერდზე (ბმული - <https://bsu.edu.ge/main/page/2-14/index.html>)